

CinéDOC-TBILISI
International Documentary Film Festival



CinéDOC

PRO

ინდუსტრიული პროგრამა
INDUSTRY PROGRAM

08-13
მაისი | MAY
2019

NOOSFERA
foundation

კეთილი იყოს თქვენი მობრძანება CINÉDOC-TBILISI-ს ინდუსტრიულ პროგრამაში!

წელს განსაკუთრებული და მრავალფეროვანი ინდუსტრიული პროგრამა შევქმენით თქვენთვის, ქართველი რეჟისორებისა და ასზე მეტი კინოპროფესიონალისთვის, ვინც 2019 წლის მაისში CinÉDOC-Tbilisi-ს საერთაშორისო დოკუმენტურ კინოფესტივალს სტუმრობს.

CinÉDOC-Pro მიზნად ცვლილებებს ისახავს, ფესტივალის სტუმართან კინოთეატრ „ამირანის“ კაფეში საუბრით დაწყებული, ნიჭიერ რეჟისორთან თანამშრომლობით დასრულებული, რომელიც თავის პროექტს New Talent Caucasus-ის პრეზენტაციაზე წარადგენს.

თქვენზეა დამოკიდებული რამდენად გამოიყენებთ ფესტივალის მიერ შემოთავაზებულ შესაძლებლობებს, თუმცა ჩვენ ყველანიირად ვეცადეთ, რომ წარმოგვედგინა ახალი იდეები, ახალი სახეები და მოულოდნელი პერსპექტივები საფესტივალო პროგრამაში. ამ ხუთი დღის განმავლობაში შეხვედებით, მოისმენთ, დისკუსიაში ჩაერთვებით, იდეებს გაუზიარებთ სხვებს და იმედი გვაქვს, საერთო პროექტებსაც დაგეგმავთ.

მადლობას გიხდით, რომ მონაწილეობთ CinÉDOC-Tbilisi-ს მე-7 გამოშვებაში! დიდი იმედი გვაქვს, რომ თქვენთვის სასიამოვნო და პროდუქტიული იქნება ფესტივალი!

არჩილ ხეთაგური, ფესტივალის დირექტორი
ილენა სტანკულესკუ, ფესტივალის კოორდინატორი
მედეა შარიკაძე, ინდუსტრიის კოორდინატორი

WELCOME TO THE INDUSTRY PROGRAM GUIDE OF CINÉDOC-TBILISI!

This year we've put together a diverse industry program for you, Georgian filmmakers and more than hundred other film professionals visiting CinÉDOC-Tbilisi in May 2019.

CinÉDOC-Pro is all about taking chances - from initiating a conversation with another festival guest at the Cinema Amirani café to deciding to collaborate with an emerging filmmaker who presented their project at the New Talent Caucasus.

Whether you'll take those chances or not is certainly up to you, but we have made sure that fresh ideas, new faces and unexpected perspectives are waiting for you at every corner. During the five days, you will meet, listen, discuss, share, and, hopefully, plan new common projects.

Thank you for joining us at the 7th edition of the annual CinÉDOC-Tbilisi film festival! We sincerely hope that you'll have a great time.

Artchil Khetagouri, Festival Director
Ileana Stanculescu, Festival Coordinator
Medea Sharikadze, Industry Coordinator

ღონისძიებების ცხრილი | EVENT SCHEDULE

9 მაისი | MAY

ამირანი 3 | Amirani 3

17:00

Masterclass by Director Nicolas Philibert, following the screening of To Be and To Have | ნიკოლა ფილიბერის მასტერკლასი, ფილმის ყოფნა და ქონა ჩვენების შემდეგ

არქივის კინოდარბაზი | Archive Cinema

19:00

Special Screening of Anniversary of the Revolution with live score | ფილმის რევოლუციის წლისთავი სპეციალური ჩვენება ცოცხალი მუსიკის აკომპანემენტით

11 მაისი | MAY

ამირანი 3 | Amirani 3

18:00

Extended Q&A with the director of photography Fejmi Daut following the screening of Honeyland | ვრცელი დისკუსია ფილმის თაფლის მიწა ოპერატორთან, ფეიმი დაუტთან

მულტიმედია განათლების ცენტრი | Multimedia Education Centre

14:00

New Talents Caucasus Presentation | New Talents Caucasus-ის პრეზენტაცია

16:00

Creative Europe Presentation | Creative Europe-ის პრეზენტაცია

12 მაისი | MAY

არქივის კინოდარბაზი | Archive Cinema

19:00

Masterclass by director Vitaly Mansky following the screening of Putin's Witnesses | რეჟისორ ვიტალი მანსკის მასტერკლასი, ფილმის პუტინის მოწმეები შემდეგ

ფონდი ღია საზოგადოება საქართველო | Open Society Georgia Foundation

10:00

Civil Pitch Presentation | Civil Pitch-ის პრეზენტაცია

14:00

B2B Panel Discussion | B2B პანელური დისკუსია

რეგიონული კოორდინატორების ტრენინგი

პროექტისთვის შერჩეული კანდიდატები საქართველოდან (40) სომხეთიდან (3) და აზერბაიჯანიდან (3) მონაწილეობას მიიღებენ რეგიონული კოორდინატორების ტრენინგში. ღონისძიება 9-დან 13 მაისამდე „კავკასიურ სახლში“ გაიმართება და მაია ლინდკუისტი წარუძღვება, რომელიც სხვა მოწვეულ სტუმრებთან ერთად შვედურ ორგანიზაცია Doc Lounge-ს წარმოადგენს.

მონაწილეებს ექნებათ სპეციალური დავალებები, რაც იმის გარკვევაში დაეხმარებათ თუ რა თემები აინტერესებთ მათ აუდიტორიას და რა სახის ფილმები უნდა წარადგინონ ამა თუ იმ რეგიონში. კოორდინატორები ასევე ისწავლიან, თუ როგორ უნდა გადაჭრან გარკვეული პრობლემები, რაც კინოჩვენების ორგანიზებისას შეიძლება წარმოიშვას. ტრენინგის შემდეგ რეგიონული კოორდინატორები საფესტივალო ფილმებს ნახავენ, რომელთა განხილვაც ტრენინგის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი იქნება.

ტრენინგის შემდეგ რეგიონული კოორდინატორები რეგიონში მინიმუმ სამ კინოჩვენებას ჩაატარებენ. აღსანიშნავია, რომ წელს კოორდინატორები მინიფესტივალებსაც გამართავენ, რაც უფრო ფართო მასშტაბისა და სტრუქტურის ღონისძიება იქნება, რომლის განსაკუთრებული ატმოსფეროც იმაზე მეტ მაყურებელს მოიზიდავს, ვიდრე რეგიონალური კინოჩვენებები.

როდის? 9-13 მაისი

სად? კავკასიური სახლი

ვის შეუძლია მონაწილეობა? შერჩეულ კანდიდატებს კავკასიის რეგიონიდან

9-13 MAY

TRAINING FOR REGIONAL COORDINATORS

The selected candidates from Georgia (40), Armenia (5) and Azerbaijan (4) will undergo a training program for regional coordinators. They will have training from May 9 and up until May 13 May, in the Caucasian House. Maja Lindquist (Doc Lounge) will be one of the trainers, together with other invited guests from Scandinavia, representing Doc Lounge.

The participants will be given specific tasks designed to help them analyze what topics their local audiences are drawn to, and understand what types of films should be screened in specific regions. They will also learn how to solve certain problems which might arise during the organization of a film screening. Starting from the afternoon, the trainees will watch the festival films and discuss them later. Following the training, all of the regional coordinators will be responsible for

organizing at least three regional film screenings. Moreover, this year three of the coordinators will organize mini-festivals - larger, more structured events which tend to create a special atmosphere and attract more viewers than regular regional screenings.

When? 9-13 May

Where? Caucasian House

Who can participate? Selected candidates from the Caucasus

9 მაისი

რეჟისორი ფოკუსში - ნიკოლა ფილიბერის ფილმების ჩვენება და მასტერკლასი

ნიკოლა ფილიბერი გამორჩეულია თავისი განსაკუთრებული სარეჟისორო სტილითა და კინოთხრობის მანერით. „ჩემს დოკუმენტურ ფილმებს ცნობისმოყვარის პოზიციიდან ვქმნი, ამისათვის ერთგვარ დასაწყისს ვეძებ, თუმცა რუკა არ მჭირდება და არც იმის ცოდნა როგორი იქნება ამ გზის დასასრული. ამგვარად ჩემი ფილმები მაყურებლისადმი ერთგვარი მოწოდებაა, რომელიც ასე ჟღერს: წამომყევი, ერთად გავარკვიოთ რა ხდება, შეიძლება დავიკარგოთ კიდეც, მაგრამ არა უშავს“...

თავდაპირველად ნაჩვენები იქნება ფილმი „ყოფნა და ქონა“ - რომელიც ფრანგული სოფლის პატარა სკოლის შესახებ მოგვითხრობს, სადაც 4-დან 11 წლამდე ბავშვებს ერთგული და თავდადებული მასწავლებელი ჰყავთ.

წელი: 2002

ქვეყანა: საფრანგეთი

ხანგრძლივობა: 104 წუთი

ენა: ფრანგული (ქართული და ინგლისური სუბტიტრებიტ)

როდის? 17:00

სად? ამირანი 3

ვის შეუძლია დასწრება? ნებისმიერ მსურველს

კინოჩვენების შემდეგ გაიმართება რეჟისორის მასტერკლასი კინოთეატრ „ამირანის“ მე-3 დარბაზში, ლონისძიებას მოდერაციას ტუე სტინ მიულერი გაუწევს.

მასტერკლასის შემდეგ ნაჩვენები იქნება ფილმი „ყოველ წუთსა და წამს“ (2018).

ფილმი მოგვითხრობს ექთნების სკოლის სტუდენტებსა და იმ სირთულეებზე, რასაც ისინი სამწლიანი სწავლის დროს აწყდებიან.

წელი: 2018

ქვეყანა: საფრანგეთი

ხანგრძლივობა: 105 წუთი

ენა: ფრანგული (ქართული და ინგლისური სუბტიტრებიტ)

როდის? 20:00 საათი

სად? ამირანის მე-3 დარბაზი

ვის შეუძლია დასწრება? ნებისმიერ მსურველს

FILM SCREENING AND MASTER CLASS BY DIRECTOR-IN-FOCUS NICOLAS PHILIBERT

Nicolas Philibert is known for his distinctive filmmaking style and unique story-telling approach: "I make my documentaries from a position of ignorance and curiosity. I need to have a starting point, but I don't need a map; I don't need to know the final destination. In this way, the film is an invitation. It's saying: come with me and we'll go and see what's happening. We might get lost but that's OK..."

Nicolas Philibert's masterpiece *To Be and To Have*, a documentary portrait of a one-room school in rural France, where students aged 4 to 11 are taught by a dedicated teacher, will be screened before the master class.

Year: 2002

Country: France

Duration: 104 minutes

Film language: French (with English and Georgian subtitles)

When? 17:00

Where? Amirani 3

Who can attend? General public

The screening will be followed by the master class with Nicolas Philibert, Amirani 3, moderation: Tue Steen Müller

And lastly, "Each and Every Moment" (2018) will be shown. The film is an honest account of the hardships experienced by the nursing school students during the three years of their studies.

Year: 2018

Country: France

Duration: 105 minutes

Language: French (with English and Georgian subtitles)

When? 20:00

Where? Amirani 3

Who can attend? General public



„რევოლუციის წლისთავი“ - სპეციალური კინოჩვენება ცოცხალი მუსიკის აკომპანემენტით

(ფილმის შემდეგ გაიმართება ვრცელი დისკუსია ნიკოლაი იზვოლოვთან)

მრავალწლიანი ძიების შემდეგ რუსმა კინომცოდნემ და მკვლევარმა, ნიკოლაი იზვოლოვმა რუსეთის ეროვნულ დოკუმენტური კინოსა და ფოტოგრაფიის არქივში ძიგა ვერტოვის ფილმის „რევოლუციის წლისთავის“ (1918) სრულყოფილი ვერსია აღმოაჩინა. ამ გასაოცარ აღმოჩენამდე საყოველთაოდ ცნობილი რუსი რეჟისორის პირველი სრულმეტრაჟიანი ფილმის მხოლოდ 12 წუთი იყო საზოგადოებისთვის ცნობილი.

„რევოლუციის წლისთავი“ ორი საათის განმავლობაში 1917 წელს, რუსეთში მომხდარი თებერვლის რევოლუციის შესახებ მოგვითხრობს, რომელსაც ქალაქ პეტროგრადში დაედო სათავე. უნიკალური არქივი რუსეთში განვითარებულ მოვლენებს, სამოქალაქო ომს, ვლადიმერ ლენინისა და ლევ ტროცკის მიმართვებს მოიცავს.

სპეციალური კინოჩვენებას პიანისტი ნიკოლაე დუმიტრუ ცოცხალი მუსიკით გააფორმებს. კინოჩვენების შემდეგ კი ნიკოლაი იზვოლოვთან ვრცელი დისკუსია გაიმართება. ღონისძიებას მოდერაციას ნინო ძანძავა გაუწევს.

წელი: 1918

ქვეყანა: რუსეთი

ხანგრძლივობა: 119 წუთი

ფილმის ენა: ქართული, რუსული, ინგლისური

როდის? 19:00

სად? „არქივის“ კინოდარბაზი

ვის შეუძლია დასწრება? ნებისმიერ მსურველს

9 MAY

ANNIVERSARY OF THE REVOLUTION: SPECIAL SCREENING WITH LIVE MUSIC

(followed by extended Q&A with Nikolai Izvolov)

After years and years of searching, the Russian film critic and researcher Nikolai Izvolov finally found the long-lost footage of Dziga Vertov's first feature-length film, "Anniversary of the Revolution" (1918), in the Russian State Documentary Film & Photo Archive. Only 12 minutes of the film were available before the striking discovery. The unique footage of the intervening period includes beautiful pioneering shots of a roaring crowd running behind a camera mounted on a car, Lenin briefly addressing the man behind the camera, and fiery speeches by Leon Trotsky during the Russian Civil War.

The special screening of "Anniversary of the Revolution" will be accompanied

by a live score by talented pianist Nicolae Dumitru which links the year of the revolution to today. The screening will be followed by an extended Q&A with Nikolai Izvolov. Moderation: Nino Dzandzava

Year: 1918

Country: Russia

Duration: 119 minutes

Film language: Russian, English, Georgian

When? 19:00

Where? Archive Cinema

Who can attend? General public

11 მაისი

ფილმის „თაფლის მიწა“ ჩვენება (კინორევენების შემდეგ ფილმის ოპერატორთან ფეიმი დაუტთან ვრცელი დისკუსია გაიმართება)

„თაფლის მიწა“ (2019) მოგვითხრობს ევროპაში დარჩენილი უკანასკნელი მეფუტკრის ამბავს, რომელიც მაკედონიის შორეულ სოფელში ველურ ფუტკრებს უვლის. მთავარი გმირის სახლთან ახლოს მომთაბარე მეფუტკრეთა ოჯახი დასახლდება, რაც მის მიერ შენარჩუნებულ ფუტკართა კოლონიებს განადგურებით დაემუქრება. ფილმი აკვირდება ადამიანებს, რომელთა ქმედებები გარემოზე სხვადასხვაგვარად აისახება და ძლიერ გავლენას ახდენს უნიკალურ ბუნებრივ რესურსებზე.

კინორევენების შემდეგ გაიმართება ვრცელი დისკუსია ფილმის ოპერატორთან, ფეიმი დაუტთან, რომელმაც „თაფლის მიწის“ Sundance-ის კინოფესტივალის საუკეთესო საოპერატორო ნამუშევრის ნომინაციაში გაიმარჯვა. დისკუსიას მოდერაციას თომას ბერნსი გაუწევს.

წელი: 2019

ქვეყანა: მაკედონია

ხანგრძლივობა: 87 წუთი

ფილმის ენა: თურქული დიალექტი (ქართული და ინგლისური სუბტიტრებით)

როდის? 18:00

სად? „ამირანის“ მე-3 დარბაზი

ვის შეუძლია დასწრება? ნებისმიერ მსურველს



HONEYLAND: SCREENING AND EXTENDED Q&A WITH DIRECTOR OF PHOTOGRAPHY FEJMI DAUT

Honeyland (2019) tells the story of the last female beehunter in Europe. When a family of nomadic beekeepers invade her Honeyland and threaten the natural balance, she must restore it and save the bees. The film explores an observational indigenous visual narrative which significantly impacts our behavior towards natural resources and the human condition.

The screening of Honeyland will be accompanied by an extended Q&A with its DoP – Fejmi Daut, winner of the Best Cinematography Award for Honeyland at Sundance Film Festival. Moderation: Thomas Burns

Year: 2019

Country: Macedonia

Duration: 87 minutes

Film language: Turkish dialect (with English and Georgian subtitles)

When? 18:00

Where? Amirani 3

Who can attend? General public

11 მაისი

პრეზენტაცია - NEW TALENTS CAUCASUS

წელს ფესტივალის ინდუსტრიული პროგრამის ფარგლებში პირველად გაიმართება პრეზენტაცია - New Talents Caucasus-ი, რომელიც ხელს შეუწყობს ახალბედა და ნიჭიერი სომეხი, ქართველი და აზერბაიჯანელი რეჟისორების დოკუმენტური კინოპროექტების წარდგენას. შერჩეული კანდიდატები CinéDOC Summer School-ის მონაწილეები, Focus Caucasus-ისა და მოკლემეტრაჟიანი ფილმების პროგრამის ფარგლებში შერჩეული რეჟისორები არიან.

პრეზენტაციისთვის სპეციალურად შეირჩა ათი კინორეჟისორი, რომლებსაც ფესტივალის განსაკუთრებულ შესაძლებლობას სთავაზობს, რომ მათი ახალი კინოპროექტები საერთაშორისო ინდუსტრიის შემდეგი წარმომადგენლების წინაშე წარადგინონ: ბანე ბალკუსი (Baltic Sea Forum for Documentaries), მელანი დე ვოხტი (IDFA Bertha Fund), ბრიჟიდ ო'ში (DOK Leipzig), მარიამ ჭაჭია (EurasiaDoc), კენან ალიევი (Current Time TV) და მანანა სურაძე (საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი).

კინოპროექტებისთვის დაწესებულია ოთხი პრიზი:

- 1000 აშშ დოლარი გამოყოფილია შერჩეული პროექტის განვითარებისთვის, ჯილდოს სპონსორია Current Time TV
- ერთი პროექტის ავტორი მონაწილეობას მიიღებს ღონისძიებაზე Baltic Sea Forum for Documentaries, რომელიც 2019 წელს 3-7 სექტემბერს რიგაში (ლატვია) გაიმართება
- ორ კინორეჟისორს შესაძლებლობა მიეცემა, რომ დაესწროს Eurasiadoc-ის მიერ ორგანიზებულ ვორკშოპს კინოს განვითარებისა და თანამართლების შესახებ

როდის? 14:00

სად? „მულტიმედია განათლების ცენტრი“

ტრენერი: ინეკე სმიტსი

მოდერატორი: ლუჩიანო გლორი

ვინ ესწრება ღონისძიებას? შერჩეული კანდიდატები და პანელის წევრები

11 MAY

THE NEW TALENTS CAUCASUS PRESENTATION

The very first New Talents Caucasus presentation aims at highlighting documentary projects by emerging filmmakers from Armenia, Azerbaijan and Georgia, at development stage. The selected candidates have either participated in the CinéDOC-Tbilisi Summer School or their documentaries have been selected for the Focus Caucasus program this year or the Shorts program.

Ten filmmakers have been selected and offered an exciting opportunity to present their new projects in front of a panel of international industry representatives. Zane Balcus (Baltic Sea Forum for Documentaries), Melanie De Vocht (IDFA Bertha Fund), Brigid O'Shea (DOK Leipzig) Mariam Chachia (Eurasiadoc), Kenan Aliyev (Current Time TV) and Manana Suradze (Georgian National Film Center) will be among the panelists.

There will be four prizes:

- 1000 USD to be spent on the selected project's further development, awarded by the Current Time TV
- One project will be selected to participate at the Baltic Sea Forum for Documentaries held in Riga, Latvia, in September 3-7, 2019
- Two filmmakers will have the opportunity to participate in a workshop dedicated to film development as well as the co-production meetings held by Eurasiadoc

When? 14:00

Where? Multimedia Education Centre

Trainer: Ineke Smits

Moderator: Luciano Gloor

Who can attend the event? Selected participants and panelists

CREATIVE EUROPE-ის პროგრამის პრეზენტაცია

Creative Europe Media პროგრამის პრეზენტაცია გაიმართება New Talents Caucasus-ის შემდეგ. პრეზენტაციაზე განიხილავენ ევროპაში ტრენინგების შესაძლებლობებს ქართველი რეჟისორებისთვის, ასევე ისაუბრებენ იმაზე, თუ როგორ შეიტანოთ განაცხადი და როგორ ითანამშრომლოთ Creative Europe-თან საქართველოში.

როდის? 16:00

ვინ წარადგენს პროექტს? დიანა მაღლაკელიძე, ლევან ლომჯარია

სად? „მულტიმედია განათლების ცენტრი“

ვის შეუძლია დასწრება? ნებისმიერ მსურველს



11 MAY

PRESENTATION CREATIVE EUROPE PROGRAMME

The Creative Europe Media Programme will be presented right after the “New Talents Caucasus”. There are many training opportunities for Georgian filmmakers who want to attend film related workshops in Europe. How to apply and how to cooperate with the Creative Europe desk in Georgia are topics that will be discussed during the presentation.

When? 16:00

Who are the presenters? Diana Maglakelidze, Levan Lomjaria

Where? Multimedia Education Centre

Who can attend? General public

CIVIL PITCH-ის პრეზენტაცია

Civil Pitch-ი უნიკალური პლატფორმაა, რომელიც ხელს უწყობს შემოქმედებით თანამშრომლობას ქართველ რეჟისორებსა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს შორის. პროექტი რეჟისორებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს შესაძლებლობას აძლევს, რომ საზოგადოების ყურადღება ყველაზე მნიშვნელოვანი და ჩრდილში მყოფი საკითხებისკენ მიმართოს.

Civil Pitch-ის ტრენინგს გაუძღვებიან დანიელ აბმა და ბრიჯიდ ო'ში. დანიელი დოკუმენტურ კინოს ასწავლის პოტსდამში (გერმანია) ბაბელსბერგის უნივერსიტეტში, იგი ამავდროულად DOK Leipzig-ის ფესტივალის პროგრამების დეპარტამენტშიც მუშაობს. ბრიჯიდ ო'ში კი ამავე ფესტივალზე DOK Industry-ს ხელმძღვანელობს.

Civil Pitch-ის ფარგლებში სამი პროექტი დაჯილდოვდება: ერთ პროექტს 3000 აშშ დოლარის ოდენობის პრიზი წარმოებისთვის გადაეცემა, მეორე პროექტი მიიღებს 500 აშშ დოლარს კინოპროექტის განვითარებისთვის, მესამე პროექტს Current Time TV-ი 1000 აშშ დოლარის ოდენობის პრიზით დააჯილდოვებს.

როდის? 10:00

სად? „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო“

ვის შეუძლია დასწრება? პროექტის მონაწილეებსა და პანელის წევრებს

12 MAY

CIVIL PITCH PRESENTATION

Civil Pitch is uniquely designed to facilitate creative collaborations between Georgian filmmakers and civil society representatives. The platform connects filmmakers and non-governmental organizations, and gives them the opportunity to bring the public's attention towards pressing issues which are often overlooked.

The training for Civil Pitch will be carried out by Daniel Abma and Brigid O'Shea. Daniel teaches documentary film at the Film University Babelsberg in Potsdam, Germany, and works for the program department at DOK Leipzig Film Festival. Brigid is Head of DOK Industry at the DOK Leipzig Film Festival.

Three projects will be awarded: one will receive a production award of USD 3000, the second one will receive a development award of USD 500, the third one will receive USD 1000 by Current Time TV.

When? 10:00

Where? Open Society Georgia Foundation

Who can attend? General public

12 MAY

B2B პანელური დისკუსია

„როგორ გაიკვლიოს გზა დოკუმენტურმა კინომ თანაწარმოების საერთაშორისო ბაზარზე“?

პანელზე განხილული იქნება შემდეგი თემები:

- თხრობის სტრუქტურა: როგორ გახადოთ ამბავი საინტერესო საერთაშორისო აუდიტორიისთვის?
- საერთაშორისო დოკუმენტური თანაწარმოება - რას ეძებს დღეს დოკუმენტური კინოს ბაზარი?
- რა სახის მასალაა საჭირო პროექტის განვითარების თითოეულ ეტაპზე?
- როგორ ვიპოვოთ დისტრიბუტორი ან გაყიდვების აგენტი?

პანელის წევრებს შორის იქნებიან ფილ ჯანდალი, მემონტაჟე (შვედეთი), ულდის ცეკულისი, კინოპროდიუსერი (ლატვია), მონიკა ფრანზაკი, სცენარისტი (პოლონეთი) და სრჯან ფინკი, მემონტაჟე (ნიდერლანდები). პროექტის (B2B Doc) ხელმძღვანელი ალექს შირიაევი ასევე მოდერატორს გაუწევს პანელს. ღონისძიების მსვლელობისას შესაძლებელი იქნება შეკითხვების დასმაც.

როდის? 14:00

სად? „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო“

მოდერატორი: ალექს შირიაევი

ვის შეუძლია დასწრება? ნებისმიერ მსურველს

12 MAY

B2B PANEL DISCUSSION

“How can your documentary project reach the international co-production market?”

The panel will discuss the following:

- Story development: how to make your story appealing to an international audience?
- The basics of international documentary co-productions - what is the market looking for?
- What kind of materials are needed exactly at each stage of the project's development?
- How can you find a distributor and a sales agent?

The panelists will include Phil Jandaly, film editor (Sweden), Uldis Cekulis, film producer (Latvia), Monika Franczak, script writer (Poland), and Srdjan Fink, film editor (the Netherlands). Alex Shiriaieff, project leader (B2B Doc), will moderate the panel. Questions during the discussion are welcome.

When? 14:00

Where? Open Society Georgia Foundation

Moderator: Alex Shiriaieff

Who can attend? General public

პუტინის მოწმეების კინორჩვენება და ვიტალი მანსკის მასტერკლასი

ვიტალი მანსკი ცნობილი რუსი დოკუმენტალისტი და Artdocfest-ის (რიგა, ლატვია) დამაარსებელია. ის თავისი უახლესი ფილმის „პუტინის მოწმეები“ (2018) ჩვენების შემდეგ გამართავს მასტერკლასს.

ფილმი შედგება არქივის მასალისგან - მანსკი პუტინზე ფილმს ჯერ კიდევ მისი მმართველობის პირველ წელს იღებდა. „პუტინის მოწმეები“ ახლოდან გვიჩვენებს რუსეთის ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან პერიოდს.

წელი: 2018

ქვეყნები: ლატვია, შვეიცარია, ჩეხეთი

ფილმის ენა: რუსული (ქართული და ინგლისური სუბტიტრებით)

ხანგრძლივობა: 102 წუთი

როდის? 19:00

სად? არქივის კინოდარბაზი

მოდერატორი: ნინო ძანძავა

ვის შეუძლია დასწრება? ნებისმიერ მსურველს

12 MAY

PUTIN'S WITNESSES: SCREENING AND MASTER CLASS BY VITALY MANSKY

Vitaly Mansky, a renowned Russian documentary filmmaker and founder of Art-docfest (Riga, Latvia) will give a master class after the screening of his latest film – “Putin’s Witnesses” (2018).

The film consists entirely of archive footage – Mansky has been filming Putin during his first year in power. “Putin’s Witnesses” provides a close and honest account of the moment in time which became a turning point in Russia’s history.

Year: 2018

Countries: Latvia, Switzerland, Czech Republic

Film language: Russian (with English and Georgian subtitles)

Duration: 102 minutes

When? 19:00

Where? Archive Cinema

Who can attend? General public

Moderator: Nino Dzandzava

მისამართები

კინოთეატრი „ამირანი“

მერაბ კოსტავას ქ. 36/1, თბილისი

არქივის კინოდარბაზი (საქართველოს ეროვნული არქივი)

ვაჟა ფშაველას #1, პეკინის ქ. #40 (კინოდარბაზის შესასვლელი),
თბილისი

ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

თამარ ჭოველიძის ქუჩა #8-10, თბილისი

მულტიმედია განათლების ცენტრი

ალექსანდრე ჭავჭავაძის ქუჩა 10ა, თბილისი

VENUE ADDRESSES

Amirani Cinema

36/1 Merab Kostava St, Tbilisi

Archive Cinema

(National Archives of Georgia) - 1 Vazha Pshavela Avenue, 40
Pekini Str. (Cinema entrance), Tbilisi

Open Society Georgia Foundation

8-10 Tamar Chovelidze Str., Tbilisi

Multimedia Education Centre

10a Alexander Chavchavadze Str., Tbilisi

Donors & Partners



Schweizerische Eidgenossenschaft
Confédération suisse
Confederazione Svizzera
Confederaziun svizra

Swiss Cooperation Office
South Caucasus

Co-funded by the
European Union



Creative
Europe
MEDIA



საქართველოს კინემატოგრაფიის
წარმომადგენელი
Georgian National
Film Center



საგარეო ურთიერთობების
მინისტროს ადმინისტრაცია
საგარეო ურთიერთობების
მინისტროს ადმინისტრაცია



თბილისის მერიის
TBILISI CITY HALL



doc
lounge.



INSTITUT
FRANÇAIS
GÉORGIE



CURRENT
TIME



Embassy
of the Czech Republic
in Tbilisi



Kingdom of the Netherlands



აქტიურობა



საგარეო ურთიერთობების
მინისტროს ადმინისტრაცია
NATIONAL ARCHIVES OF GEORGIA



DOX
LEIPZIG



THE CENTRE FOR CULTURAL RELATIONS
CAUCASIAN
HOUSE



